გიორგი ბერიძე*

ევროპეიზაციის თეორია: ძირითადი საკითხები და ცნებები

აბსტრაქტი

ევროპეიზაციის თეორია მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს და უკავშირდება ცივი ომის შემდგომ ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების აღწერას.ევროპეიზაციის შესწავლა ხშირად გულისხმობს ევროკავშირის გაფართოების შესწავლას და რიგი ავტორები, მაგალითად ოლსონი, ევროპეიზაციას სხვაგვარად ევროკავშირიზაციასაც უწოდებენ. ევროპეიზაცია შემოსაზღვრულია გეოგრაფიულადაც და მოიცავს ევროპის კონტინენტთან ერთად ასევე პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილსაც (მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს). აღსანიშნავია რომ ევროპეიზაციის თეორია გულისხმობს როგორც უშუალოდ ევროკავშირის გაფართოების შესწავლას, ასევე ევროკავშირის გავლენის გავრცელების შესწავლასაც ისეთ ქვეყნებზე, რომელთა ევროკავშირში მიღებაც ჯერჯერობით დღის წესრიგში არ დგას. ასეთია მათ შორის საქართველო. რიგი მეცნიერები ევროპეიზაციის თეორიით შეისწავლიან ევროკავშირში არსებული მმართველობის და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების სტანდარტების გადატანას სხვა - სამიზნე ქვეყნებზე, რომლებიც საკუთარი გადაწყვეტილებით ცდილობენ დაამსგავსონ საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ დღის წესრიგს. ეს შესაძლებელია სამართლებრივი ნორმების, კანონების, ინსტიტუტების შენების და ტრანსფორმაციის დონეზე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ნებაყოფილობითი, ასევე სავალდებულო და მას შესაძლოა საფუძვლად ედოს რომელიმე ორმხრივი დოკუმენტი, როგორიც არის მაგალითად ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ამ ხელშეკრულებით საქართველომ მნიშვნელოვანი ცვლილებების ვალდებულება აიღო საჯარო პოლიტიკის კეთებაში და ეს ცვლილები დღემდე ყოველწლიურად განიხილება ასოცირების ხელშეკრულების დოკუმენტის ეგიდით.

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ევროპეიზაციის თეორია, საქართველო, ევროკავშირი

ევროპეიზაციის თეორია ძირითადად საერთაშორისო ურთიერთობების ფუნქციონალისტურ სკოლას წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ საფუძველს კანტიანური იდეალისტური ტრადიციიდან და ვუდრო ვილსონის „თოთხმეტი პუნქტიდან'' იღებს. ფუნქციონალიზმისთვის გლობალური ინტეგრაციის შესწავლა სახელმწიფოების ეროზიის ფონზე და ამ ინტეგრაციაში ცოდნაზე დაფუძნებული პოლიტიკის კეთების ფენომენი კვლევის ამოსავალი წერტილია (Rosamond, 2000).

ევროპეიზაციის თეორია ბოლო 30 წლის მანძილზე შეისწავლის კომუნისტური ბლოკის დაშლის ფონზე მიმდინარე ინტეგრაციის პროცესებს. ბუნებრივია, რომ ამ ინტეგრაციაში საკვანძო როლს ევროკავშირი თამაშობს. ბევრი ავტორი მიიჩნევს, რომ ევროპეიზაცია სახელმწიფო ინსტიტუტების იმგვარ მოწყობას გულისხმობს, რაც ევროკავშირის ქვეყნების მიერ კონსესუსით მიღებული სახელმწიფო მოწყობის და ინსტიტუტების შენების სტრატეგიას იმეორებს და ბაძავს (Ladrech, 1994). აღსანიშნავია, რომ ევროპეიზაცია იოჰან ოლსენმა ალტერნატიული ტერმინით, „ევროკავშირიზაციით" აღნიშნა ჯერ კიდევ 2002 წელს (Olsen, 2002). 1990 წლებიდან 2000-იანი წლების პირველ ნახევრამდე ევროპეიზაცია დიდწილად სწორედ ევროკავშირის გაფართოებას შეისწავლიდა (ეს გაფართოება კი თავის მხრივ მეტწილად ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნების კავშირში მიღებას ნიშნავდა). 2008 წლის შემდეგ, ევროკავშირის გაფართოების პროცესი შენელდა და ''აღმოსავლეთ პარტნიორობის'' დღის წესრიგს დაუთმო ევროკავშირის აღმოსავლეთ პოლიტიკა. ამას ეხმიანება ფრანკ შიმელფენიგის და ჰანო შოლცის სტატიაც, რომელიც ევროპული დემოკრატიის აღმოსავლეთ სამეზობლოში გავრცელების ტენდენციებს და საშუალებებს შეისწავლის (Schimmelfennig and Scholtz, 2008). შიმელფენიგი და შოლცი ამ სტატიაში საუბრობენ აღმოსავლეთ პარტნირობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის არსებულ ორმხრივ შეთანხმებებზე და პირობითობის მექანიზმზე, რომელსაც ევროკავშირი იყენებს ამ ქვეყნებთან გაფორმებული შეთანხმებების გადასაზღვევად (პირობითობის მექანიზმი გულისხმობს შესაძლო სანქციებს ევროკავშირის მიერ, მაგალითად სამიზნე ქვეყნისადმი გამიზნული ბენეფიტების ან ფინანსური დახმარების უკან გაწ-

ვევის გზით). პირობითობის შესახებ ორი წლით ადრე საინტერესო ნაშრომი შემოგვთავაზა ჰისერ გრაბემ, რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (რომლებიც გახდნენ კიდევ ევროკავშირის წევრები) ევროპეიზაციას აღწერდა და ზემოთ უკვე ნახსენებ პირობითობის ცნებას განიხილავდა როგორც ევროკავშირის უმთავრეს მექანიზმს სამიზნე ქვეყნის ტრანსფორმაციის მისაღწევად (Grabbe, 2006). საინტერესოდ წარმოადგენდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას რუბენ ზაიოტი, რომელმაც აღნიშნა, რომ ევროკავშირში არსებობს ''შემოღობილი უბნის სინდრომი'' და რომ ევროკავშირის გაფართოება დროდადრო ნაკლებად უფრო სავარაუდო ხდება, ეს სტატია 2007 წელს დაიწერა, სანამ ევროკავშირი გამოაცხადებდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის'' პროგრამას (Zaiotti, 2007). საინტერესოდ ეხმაურება ევროკავშირის აღმოსავლეთ პოლიტიკას ტარჯა ბორსელი, როდესაც საუბრობს ''ოცნების კოშკებზე'' და იმ სირთულეებზე, რასაც ევროკავშირი ხვდება პოტენციურ და ასოცირებულ წევრებთან ურთიერთობის გზაზე (Borzel, 2015). უკანასკნელ პერიოდში, დიდი ყურადღება ეთმობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების როლს ევროკავშირის საშინაო პოლიტიკის კეთებაში, მათ ძალაუფლებას და ლიმიტებს, მათ მანევრებს ევროპარლამენტში, ამ მხრივ საინტერესო ნაშრომს გვთავაზობს ბათლერი (Butler, 2014).

საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში, უმნიშვნელოვანესი თარიღი 2014 წელია, როდესაც გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება ერთის მხრივ საქართველოს და მეორეს მხრივ, ევროკავშირს შორის. ასოცირება გულისხმობს ევროკავშირთან უნიკალური ეკონომიკური და გეოგრაფიული ინტეგრაციის შესაძლებლობას. ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის და მიმოსვლის შეთანხმებები. 2014 წლიდან დღემდე მილიონზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ იმოგზაურა ევროკავშირში სავიზო რეჟიმის გარეშე. საქართველოსთვის ევროკავშირი ერთ-ერთი უმთავრესი საექსპორტო სივრცეა.

მნიშვნელოვანია, რომ ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ აიღო მთელი რიგი ვალდებულებები, მათ შორის არის ფინანსური პოლიტიკის სფერო, უმცირესობათა და მშრომელთა უფლებების დაცვის ვალდებულება და საკანონმდებლო სივრცის ტრანსფორმაციის ვალდებულება. ამ მხრივ რჩება ბევრი გამოწვევა, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველო ეტაპობრივად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. გამორჩეულად საინტერესოა შრომითი ურთიერთობების სფერო, რის

მიმართაც ''ასოცირების ხელშეკრულებამ'' რადიკალურად შეცვალა საქართველოს სახელმწიფოს დამოკიდებულება. ლიბერტარიანული შრომითი კანონმდებლობა და პოლიტიკა შეიცვალა უფრო საზოგადოებაზე, მშრომელებზე ორიენტირებული დღის წესრიგით. შრომითი პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველომ პრაქტიკულად ევროკავშირისგან ''ჩამოტვირთა'' ამ სფერომ ევროპეიზაცია განიცადა. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ შრომის ინსპექციის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოში გაუქმდა 2006 წელს და მისი აღდგენა დაანონსდა 2014 წლიდან. დღესდღეობით შრომის ინსპექცია აქტიურად მუშაობს და უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებზე მშრომელთა უსაფრთხოებას.

გარდა შრომითი ინსპექციის ინსტიტუტისა, აღსანიშნავია შრომითი კანონმდებლობის ცვლილებაც, რომელიც ლიბერტარიანულიდან (ბიზნესის რიგი სამართლებრივი უპირატესობები) სოციალურად იქცა (ბიზნესს რიგი პასუხისმგებლობები გაუჩნდა, სახელმწიფოს სანქცირების სივრცე გაეზარდა).

პრაქტიკულად, საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგი ექვემდებარება ევროპეიზაციის პროცესს, აღსანიშნავია რომ საჯარო პოლიტიკის ტრანსფორმაციაში გათვალისწინებულია პირობითობის მექანიზმის არსებობაც (იმდენად, რამდენადაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია როგორც ასოცირების ხელშეკრულების ბენეფიტები, ასევე ევროკავშირის მიერ გაწეული სხვა ფინანსური დახმარებები).

გამოყენებული ლიტერატურის სია

- Robert Ladrech. 1994. ‘’Europeanization of Domestic Politics and Institutions: The Case of France.’’ *Journal of Common Market Studies.* 32:1: 69-88.
- Heather Grabbe. 2006. *‘’The EU’s Transformative Power: Europeanization Through Conditionality in Central and Eastern Europe.’’* New York: Palgrave Macmillan.
- Johan Olsen. 2002. ‘’The many faces of Europeanization.’’ *Journal of Common Market Studies.*5:40: 921-952.
- Ruben Zaiotti. 2007. ‘’Of Friends and Fences: Europe’s Neighbourhood Policy and the ‘Gated Community Syndrome.’’ Journal of European Integration.29:2: 143-162.
- Frank Schimmelfennig and Hanno Scholtz. 2008. ‘’ EU Democracy Promotion in the European Neighbourhood: Political Conditionality. Economic development and transnational exchange.’’ *European Union Politics*. 187-215.
- Börzel, T. A. (2015). Building Sand Castles? How the EU Seeks to Support the Political Integration of its New Members, Accession Candidates and Eastern Neighbours. MAXCAP Working Paper Series, 9. Retrieved from: http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap_wp_09_4.pdf
- Butler, E. (2014). Assessing Accession: Power, Influence and Representation – Central and Eastern Europe in the EU. Europe-Asia Studies, 66 (3), 353-358.
- Rosamond, Ben (2000). *Theories of European integration*. New York: St. Martin's Press

Giorgi Beridze

The Theory of Europeanization: Main Issues and Concepts

Abstract

The theory of Europeanization dates back to the 90s of the last century and is related to the description of the integration processes in Europe after the Cold War. It should be noted that the study of Europeanization very often involves the study of EU enlargement, and a number of authors, such as Olson, also refer to Europeanization as Europeanization.

It should be noted that the study of Europeanization very often involves the study of EU enlargement, and several authors, such as Olson, also refer to Europeanization as EU-zation. Europeanization is bounded geographically and includes, along with the European continent, also part of the post-Soviet space (including the countries of the South Caucasus). It should be noted that the theory of Europeanization implies the study of EU enlargement directly, as well as the study of the spread of EU influence in countries whose accession to the EU is not yet on the agenda.

Many scholars through the theory of Europeanization, study the transfer of standards of governance and political decision-making in the EU to other - target countries, which by their own decision try to align their political agenda with the political agenda in EU countries. This is possible at the level of legal norms, laws, institution building and transformation, which can be both voluntary and mandatory, and may be based on a bilateral document, such as the Association Agreement between the EU and Georgia.

Under this agreement, Georgia has committed to significant changes in public policy, and these changes are still reviewed annually under the auspices of the Association Agreement.

Keywords: Europeanization; European Union; EU enlargement.